2-8420/25
23-06-2025

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის წევრების: ზაზა ლომინაძისა და ვლადიმერ კახაძის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/465; 11.09.2024).

კანონპროექტის მიზანია, უმცროს ექიმს 2025 წლის 1 ოქტომბრამდე სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიეცეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

მიზანშეწონილია, კანონპროექტით წარმოდგენილი საკითხი, მისი არსიდან და მიზნიდან გამომდინარე, დროულად საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე მოწესრიგდეს, რაც დაჩქარებული წესით მიღების გარეშე შეუძლებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, მიიღოთ გადაწყვეტილება ამ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვისა და მიღების თაობაზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ზაზა ლომინაძე

პარლამენტის წევრი
ვლადიმერ კახაძე